

შპს „სოკარ ჯორჯია გაზი“

დადგენილება №029466

გაფრთხილების სახით ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ

15 დეკემბერი 2023 წ.

ქ. ფოთი

1. დადგენილების გამომტანი ორგანო (თანამდებობის პირი): დადგენილების გამომტანაზე უფლებამოსილი პირი - შპს „სოკარ ჯორჯია გაზის“ სამეგრელო-გურიის რეგიონალური ოფისის უფროსი იურისტი ნინო ჯიშკარიანი.

2. საქმის განხილვის თარიღი: 15.12.2023 წ.

3. ცნობები პირის შესახებ, რომლის მიმართ განიხილება საქმე: ფიზიკური პირი ინვერ გოგობია პ/ნ 51001005437; ქ. ზუგდიდი მანჯგალაძის სახლი მე-2 შესახვევი #3; ტელ.: 593591213; აბონენტი ანა ბელქანია, აბონენტის ნომერი 3101610982.

4. საქმის განხილვისას დადგინდა შემდეგი გარემოებები: შპს „სოკარ ჯორჯია გაზის“ უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ განსახილველად გადმომეცა ინვერ გოგობიას როგორც ადმინისტრაციული სამართალდარღვევი პირის მიმართ შედგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი №029466 ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 96¹ მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული ბუნებრივი გაზის უკანონო მოხმარების ფაქტზე, რომლის თანახმად, ინვერ გოგობიას საცხოვრებელ სახლში, სადაც აბონენტად ფიქსირდება ანა ბელქანია, მისამართზე აღრიცხვის და რედუცირების კვანძის, ასევე შიდა ქსელის და დანადგარების დეტალური შემოწმებისას გამოვლინდა ბუნებრივი გაზის უკანონო მოხმარება მრიცხველის გვერდის ავლით. საქმეზე თანდართულია ფოტომასალა, აღრიცხვის კვანძის დათვალიერების აქტი, მოხსენებითი ბარათი, ვიდეომასალა.

ოქმის შემდგენის განმარტებით ამა წლის 7 დეკემბერს გამოვლენილ იქნა ქალაქ ზუგდიდში, მანჯგალაძის სახლი #2 შეს 3 საცხოვრებელ სახლში ბუნებრივი გაზის უკანონო მოხმარება მრიცხველის გვერდის ავლით, კერძოდ რედუცირების კვანძის ქვემოთ, საშუალო წნევის გაზსადენზე მექანიკური გადაბმით დაერთებული ჰქონდა ალტერნატიული მილი ბუნებრივი აირის უკანონოდ მოხმარების მიზნით. აღნიშნული ქმედებით დასტურდებოდა ბუნებრივი აირის უკანონოდ მოხმარების ფაქტი, რის შემდეგაც შედგა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმი №029466 და სხდომა დაინიშნა ამა წლის 15 დეკემბერს. სხდომაზე არ გამოცხადდა ადმინისტრაციულ

პასუხისგებაში მიცემული პირი, რომელსაც სხდომის თაობაზე ეცნობა კანონით დადგენილი წესით.

შსს ინფორმაციული უზრუნველყოფის სამმართველოში გაგზავნილ იქნა მოთხოვნა, ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 96¹ მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად ბუნებრივი გაზის უკანონო მოხმარების ფაქტზე შემოწმების მიზნით, შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საინფორმაციო ბაზაში, ინვერ გოგობია არ ირიცხება.

5. ზემოაღნიშნულის საფუძველზე, ვიხელმძღვანელებ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 96¹ მუხლის პირველი ნაწილით, 200, 228², 236-237, 260-ე და 266-268 მუხლებით, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2009 წლის 9 ივლისის №12 და 2010 წლის 12 აგვისტოს №14 დადგენილებებით და

და ვ ა დ გ ი ნ ე:

6. ფ/პ ინვერ გოგობია პ/ნ 51001005437 ცნობილ იქნეს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენ პირად, სამართალდარღვევა გათვალისწინებული საქართველოს ასკ-ის 96¹-ე მუხლის პირველი ნაწილით და სახდელის სახით დაედოს ადმინისტრაციული სახდელი გაფრთხილება.

7. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში (მისამართი: ქ.თბილისი მიცკევიჩის ქ. №19).

დადგენილების გამომტანი

